საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 6 03/02/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზრაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29 -ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25 -ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61 - მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრო 21 ერთეულით.

მუხლი 2 . ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 აპრილის N50/ 20 განკარგულება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის შესახებ“

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ემუხლი თდადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა #48.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე